

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაერთთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS



Scientia

Scholarly Journal

საშეცნიერო
ჟურნალი

#5

SCIENTIA POTENTIA EST | ცოდნა ძალაა

www.scientia.ge

თბილისი | TBILISI

2024

მთავარი რედაქტორი

მანუარ ვუნცაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სარედაქციო საბჭო

მარტინა ბიბუნიაკი | კოტხდავის უნივერსიტეტი

თამაზ გოგოლაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ზურაბ თარგამაძე | ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი

რადოსლავ კანარკოვსკი | კრაკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ვლადიმერ კეკელია | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ლევან კოჭლავაშვილი | არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მარია ლიდოვა | ოქსფორდის უნივერსიტეტი

იორდან ლუციაწოვი | ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია

ჰიროტაკა მაედა | ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტი

შოთა მათითაშვილი | ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

გორ მარგარიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გიორგი მირზაბეკიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დავით ნასყიდაშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ნინიძე | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტეფანო კელაჯი | რომის საკინცას უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ჟღენტი | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ნესიმი რზაიევი | ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ედუარდო სანჩესი | ვალადოლიდის უნივერსიტეტი

სოფიო ქადაგიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მინილი ქართველიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მატია კირიატი | ბარსელონის უნივერსიტეტი

გურამ ჩხატარაშვილი | ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

ზაზა ცინაძე | წმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტი

EDITOR-IN-CHIEF

MANUCHAR GUNTSADZE | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

EDITORIAL BOARD

MARTINA BITUNJAC | UNIVERSITY OF POTSDAM

TAMAZ GOGOLADZE | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ZURAB TARGAMADZE | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

RADOSLAW KANARKOWSKI | KRAKOW INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

VLADIMER KEKELIA | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

LEVAN KOCHLAMAZASHVILI | ARNOLD CHIKOBAVA LINGUISTICS INSTITUTE

MARIA LIDOVA | UNIVERSITY OF OXFORD

YORDAN LUTSKIANOV | BULGARIAN ACADEMY OF SCIENCES

HIROTAKE MAEDA | TOKYO METROPOLITAN UNIVERSITY

SHOTA MATITASHVILI | CENTRAL EUROPEAN UNIVERSITY

GOR MARGARIAN | ARMENIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

GIORGI MIRZABEKYAN | ARMENIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

DAVIT NASKIDASHVILI | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

TAMAR NINIDZE | AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

STEFANO PELAGGI | SAPIENZA UNIVERSITY OF ROME

NIKOLOZ ZHGENTI | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

NESIMI RZAYEV | BAKU STATE UNIVERSITY

EDUARDO SANCHEZ | UNIVERSITY OF VALLADOLID

SOPHIO KADAGISHVILI | IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

MIKHEIL KARTVELISHVILI | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

MATIA CHIRIATTI | UNIVERSITY OF BARCELONA

GURAM CHKHATARASHVILI | BATUMI ARCHAEOLOGICAL MUSEUM

ZAZA TSINADZE | ST. ANDRIA GEORGIAN UNIVERSITY

UDC (შპკ) 93/94:902/904:39:8

(051)

S-40

ISSN 2667-9590

e-ISSN 2667-9604

© Scholarly Journal Scientia | სამეცნიერო ჟურნალი Scientia

**თამარ გოგოლაძე**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოtamilagogoladze@gmail.com

orcid: 0000-8706-2102

**განთიადის ვერბალური გადმოცემის
სპეციფიკისათვის
რომანტიკოს და რეალისტ პოეტებთან**

ბუნების სურათის, პეიზაჟის ვერბალური აღწერის პროცესი უძველესი დროიდან გვხვდება მხატვრულ ტექსტებში, განსხვავებულად ჟანრობრივად თეატრალური მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე. არცთუ შვიათად, მხატვრულ ტექსტში გვხვდება ბუნების „შეჩერებული წამის“ აღწერაც, მისი ფუნქციური სპეციფიკით შეიძლება იყოს გაპირობებული. ლირიკასა და პოემაში მეტ-ნაკლებად, პროზაში- გაშლილად ბუნების აღწერა ვერბალურად მხატვრულ ტექსტში მეტ შესაძლებლობას უქმნის ავტორს წარმოაჩინოს ოსტატობა, ვიდრე მხატვარს ან მუსიკოს-კომპოზიტორს.

პეიზაჟის აღწერა მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურაში სხვადასხვა ეპოქაში ჟანრობრივი თუ მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებულად წარმოდგება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ რამდენიმე ნაწარმოებში მოცემულ ერთი და იმავე ბუნების სურათის, ჩვენი სტატიის შემთხვევაში, განთიადის დადგომის პროცესის აღწერას, შევნიშნავთ პოეტის, შემოქმედის მხატვრული ოსტატობის განსხვავებულ მეთოდს, რაც, ვფიქრობთ, საყურადღებოა მათი მხატვრულობის სპეციფიკის წარმოსაჩენად. ამ მიზნით შევარჩიეთ XVIII საუკუნის ინგლისელი პრერომანტიკოსის თომას გრეის პოემა (The Bard), მკვლევართა თვალსაზრისით, მისი გავლენით შექმნილ რუსი პოეტის, ვასილი ჟუკოვსკის პოემა („Певец во стане русских воинов“), ქართველი რომანტიკოსის გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ და რეალისტი პოეტის აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“. მათ აერთიანებთ განთიადის დადგომის პროცესის ვერბალური აღწერის მსგავსება-განსხვავება ადამიანისათვის, საზარელი ტრაგიზმის გამომხატველი ბრძოლის დაწყების წინ.

კვლევამ ცხადყო, რომ თუ პრერომანტიკოსთან დილის, ნელად მქროლი ნიავის ხსენება, აღნიშვნა ფონია ტექსტისათვის, ჟუკოვსკისთან იგი სიუჟეტის ნაწილია, მაგრამ პოეტის წარმოსახვაში არსებული წარმოჩენა, გრიგოლ ორბელიანთან რეალისტურ

სურათად აღიწერება, რეალისტ აკაკი წერეთელთან კი შედარების მეშვეობით გადმოცემა, რაშიც იკვეთება პოეტთა მაღალი ოსტატობა, ამის ჩვენებაც წარმოადგენდა ჩვენი სტატიის მიზანს.

საკვანძო სიტყვები: განთიადის აღწერა, პრერომატიკოსი, რომანტიკოსი, რეალისტი.

ვერბალური ასახვა მხატვრულ ტექსტში შეიძლება იყოს წარმოდგენილი მოქმედების პროცესში (მაგ.: მზის ჩასვლა, მზის ამოსვლა, ქარიშხალი, წვიმა და სხვ.). სწორედ ამან განაპირობა კიდევ ჩვენი სტატიის თემაც წარმოვაჩინოთ განთიადის დადგომა სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეპოქის პოეტთა შემოქმედებაში (პრერომატიკოსებთან, რომანტიკოსებთან, რეალისტებთან), რაც ცალკეულად თუ რამდენიმეს შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი არაერთგზის გაკეთებულა XIX საუკუნის შემსწავლელ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ, მაგრამ ერთობლიობაში ყურადღებაშიუქცევლად. ინგლისელი პრერომატიკოსი პოეტის თომას გრეის (1716-1771) ოდის „The Bard“ გავლენით შექმილადაა მიჩნეული მკვლევართა მიერ რუსი რომანტიკოსი პოეტის ვასილი ჟუკოვსკის (1783-1852) „Певец во стане русских воинов“ (რომელიც 1812 წლის ომის გმირებს მიეძღვნა), ხოლო ქართველმა რომანტიკოსმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა თავის პოემას „სადღეგრძელო“ (1804-1883) თავშივე მიაწერა „მიბაძვა ჟუკოვსკისა“ („ტოლუბაშის“ მეორე ვარიანტთან), ხოლო მოგვიანებით „განთიადის დადგომის აღწერა უკვე გვხვდება რეალისტ პოეტთან, აკაკი წერეთელთან, პოემაში „თორნიკე ერისთავი“. ყურადღება მიიქცა წინასიტყვაობის თხზულებათა სრული კრებულის (1959) წინასიტყვაობის ავტორის აკაკი განერილია ერთმა აბზაცმა:

„გრ. ორბელიანის ლირიკა, ისევე როგორც მისი გენიალური დისწულისა, ნიკ. ბარათაშვილისა, აგრეთვე ორგანულად ითავსებდა სახეების რეალისტურ სისტემას, პლასტიკურ ელემენტს და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით ნაკარნახევ ჯანსაღ სენსუალიზმს, რაც საერთოდ უჩვეულო მოვლენაა ევროპული რომანტიზმის რეაქციული ფრთის ტიპური წარმომადგენლებისათვის“ (ხაზი ჩვენია - თ.გ.) (ორბელიანი 1959:013).

ხოლო ცოტა ქვემოთ გრ. ორბელიანის, როგორც ბუნების დიდი მომღერალის დახასიათებისას ასკვნის, რომ „მანამდე“ არცერთ ქართველ პოეტს არ უცდია ასე ახლო მისვლა ბუნების შინაგან მისტერიასთან, არავის შეუტანია ეგზომ დინამიკური ელემენტი ლანდშაფტებსა და პეიზაჟებში, როგორც ჭეშმარიტი რომანტიკოსი. იგი ბუნებაში ეძებს თავისი ტკივილებისა და სიხარული თანაზიარობას, ესმის ყვავილთა ფშვინვა და ფრინველთ ჟრიამული,

მოხიბლულია ცისს ტატნობაზე, ვარკვლავთა ციმციმით... მთელი ქართული პოეზიაა დავალებული გრ. ორბელიანის მიერ ბუნების ამგვარი ამტყველებისაგან.“ (ორბელიანი, 1959:045).

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ციტატები ა. განერილიას კვლევებიდან იმსახურებდა გახსნასა და გაღრმავებას, მითუმეტეს, რომ თვით გრიგოლ ორბელიანიც, იმ დროისათვის 26-იოდე წლის ჭაბუკი, გრძნობს, ბუნების მოვლენის ვერბალური გადმოცემისას, შეუძლებლობას ნანახის აღწერისათვის:

„კაცისა ხელი ფრიად არს აღსაწერელად დიდებულებითისა ბუნების მშვენიერების. ყოვლადშემძლებლობა ემოქმედურ აღბეჭდილარსამამთათაზედა, რომლისახილვითა განცვიფრების, ჰკრთების და იკარგების გონება კაცისა“ (ორბელიანი, 1959:158). აღნიშნავს ჭაბუკი თავის პროზაულ თხზულებაში („დღიურები“), რაც მას აღედრა მზის ჩასვლის წინ.

ძირითადი ნაწილი. შესასწავლი პოემებიდან ინგლისელი პრერომანტიკოსის თომას გრეის „The Bard“ ითვლება ამოსავალი გავლენის წყაროდ ვასილი ჟუკოვსკისათვის. თუმცა არც თავისი სიუჟეტით, არც თავისი ფორმით (ოდა), იგი ამას არ უნდა წარმოადგენდეს. გრეი არც კლასიციკსტ მწერლად. შეიძლება მივიჩნიოთ (თუმცა შემოქმედების დასაწყისში კლასიციკსტური მანერით შექმნა ნაწარმოებები), არც სენტიმენტალისტად (რადგან უფრო კელტური და ვალიური მითოლოგიით იყო დაინტერესებული და ნაკლებად გამოხატავდა მგრძნობელობით დამოკიდებულებას ასასახი ობიექტივს მხატვრულ სახეებში). ალბათ, ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი თომას გრეის პრერომანტიკოსად მიიჩნევს, რომლისთვისაც პეიზაჟი არაა თავშესაფარი ანმყოთი სულშეხუთულისათვის, არამედ როგორც ფონითემის გაშლისათვის. ვ. ჟუკოვსკის უთარგმნია მისი ერთი ცნობილი პოემა, მაგრამ რატომღაც არ უხლია ხელი „ბარდისათვის“, რომელიც განიცდიდა უძველესი ვალიური თქმულებების გავლენას. მის სიუჟეტში გადმოცემულია ვალიელი ბარდის, ინგლისელი მეფის ედუარდ I მიერ ამოხოცილი თანამოძმეებიდან უკანასკნელის, საწყველი ოდა ტირანისადმი, თუ რა მოელის მომავალში მისი მშობლიური მიწების დამპყრობელს და შთამომავალთ, რომ თვით ბუნება აღუდგება წინ მას საშინელი ღვარცოფითა და გოლიათი მუხებით. პოემის სათაურშიც გრეიმ მას (შემდგომში რომანტიკოსების მიერ გამოყენებული) „პინდარული“ უწოდა, რითაც სცადა აეხსნა ცვალებადი რიტმული წიაღისვლები ლირიკული თემის განვითარებისათვის. პოემის მეორე ნაწილის მეორე თავში, რომელშიც ბარდი წყევლის ედუარდის შთამომავალს, ფონად იყენებს დილის დაცინვასა და თბილი ზეფირის ქროლვას, რომელთაც უნდა აიტაცონ მიცვალებული სასუფეველში. „Fair laughs the Morn, and Soft the Zephyr blaws“ (<https://www.poetryfoundation.org/poems/44298/the-bard-a-pindaric-de>). არავითარი შექება

წინაპრებისა, არავითარი ომისწინარე განწყობილება მეომრებისა არ მიგვანიშნებს რუსი რომანტიკოსი პოეტის ჟუკოვსკის პოემაზე, (რომლის აშკარა გავლენა იგრძნობა გრიგოლ ორბელიანის „სადღევრძელოში“.)

ამდენად, თუ თომას გრეისთვის მოხუცი ვალიელი ბარდის წინასწარმეტყველებით გაემგზავრება მიცვალებული სასუფეველში აღსატაცებლად რასაც მოწმობს დილა (განთიადი) და თბილი ნიავი (ზეფირი), აქ პოეტი ფონს აღნიშნავს მხოლოდ და არ აღწერს განთიადის დადგომას, რაც რუს რომანტიკოს პოეტ ვასილი ჟუკოვსკისთან დაკავშირებულია ბანაკში მეომართა მასთან შეგებებასთან:

„Но светлых облаков грядя
Уж утро возвещает;
Уже восточная звезда
Над холмами играет;
Редее сумрак; свкозь туман
Проглянули равнины;
И дальный лес, и тихий стан,
И спящие дружины,
О други, скоро!... день грядят...
Недвижны раты бурны...
Но... рак уж жребий берет
Из таинственной урны“

(<http://library.ru/text/1376/p.h/index/html>)

განთიადის დადგომასაქ მომღერალი (певец) ანუ ბარდი აცნობებს მეომრებს და დანვრილებით აღწერს პროცესს, რომ ღრუბლების მოძრაობა გვამცნობს დილას. აქვეა ცისკრის (აღმოსავლეთის) ვარსკვლავი, რომელიც დასთამაშებს ბორცვებს, ბინდი იფანტება და მის იქით ჩნდება დაბლობნი, შორეული ტყე, მძინარე მეომრები. აქაც მოწოდებაა დილის დადგომის ერთად, როცა ბედისწერას უკვე თავისი გადასაწყვეტია თითოეული მეომრისათვის.

პოეტი, რომელიც მომღერლის პირით ამცნობს დილის დადგომას, აღწერს ვერბალურად პროცესს განთიადის სურათისა, თუმცა ეს ტიპური აღწერაა. მწერლის წარმოსახვით ფანტაზიაში დაბადებული, სადაც კვლავ დომინირებს ფონი ახალი დღის დადგომასთან. მეომრების ბედისწერის მისანიშნებლად: ზოგი დაიღუპება, ზოგი გადარჩება - ეს უცნობია. მხატვრულობა მინიმალურად იკვეთება. თითქოს პოეტმა იცოდა, როგორ დგება დილა, ახლა წარმოიდგინა, გააცოცხლა მეხსიერებით და ასე აწვდის მკითხველს.

განათებული ღრუბლები გვამცნობს დილას, მაგრამ არსებობს წინა პროცესი, რაც უძღვის მას, ეს კი უკვე სხვა მწერლის, რომანტიკოსის, მაგრამ უცნაურად თითქოს თვითმხილველის აღწერით წარმოჩნდება დიდი მხატვრული ოსტატობით, რომელიც

სწორედ დინამიკაშია:

„ცისკარმან აღმოსავლეთით ვარდისა ფერად შეჰლება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება!
აენთენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი;
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მას შევნატრით
მხილველნი!“

(ორბელიანი, 1959:105)

აქ პოეტური ოსტატობითაა წარმოდგენილი „ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი“ ნაცვლად „ერთად შეგროვებული განათებული ღრუბლებისა“, როგორც ეს ჟუკოვსკისთანაა. შესაძლოა წარმოსახვითი სახე განთიადის დადგომისა ერთი პოეტისათვის სხვაგვარად იყოს სინამდვილეში, მეორესთან - სხვაგვარად. მაგრამ ჟუკოვსკისათვის წარმოსახული განთიადი კარგად აღწერილი ფანტაზიაა. რომანტიზმის პრინციპიდან გამომდინარე გრიგოლ ორბელიანთან კი რეალურად დანახული და ოსტატურად აღწერილი პროცესი მთელი თავისი დინამიზმით, რასაც შეჰყურებს „ტოლუბაშიც“ და ღამენათევი მეომრებიც. მკითხველი თითქოს ურდოს ნევრია, რომელიც ტოლუბაშთან ერთად შეჰყურებს განთიადის დადგომას და ემზადება მომავალი შერკინებისათვის. ამიტომ პოეტი სიკვდილსა და სიცოცხლეს, როგორც სიბნელესა და სინათლეს შორის ჭიდილ-გადასვლას გამოხატავს:

„ღმერთო, ვინ მიჰსწვდის შენგან ქმნილს, მის
ფერ უთვალავ შვენებას?

სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით
ჰბადავ ცხოვრებას!“

(ორბელიანი, 1959:105)

აქ განუსაზღვრელი მომავალიც თითქოს ტოლუბაშის მოწოდებაა ურდოსათვის:

„დასრულდა, განჰქრა, სიზმარებრ ესე ლხინიცა
ღამისა...“

წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს ხმა საიდუმლო
მხვედრისა!“

(ორბელიანი, 1959:105)

განთიადის სურათი და თავად მისი დასასრული გრიგოლ ორბელიანის დიდ პოეტურ ოსტატობას წარმოაჩენს და ქვეშეშეშეშე რეალისტურ ასახვას იძლევა მხატვრულ ტექსტში.

გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებიდან ათიოდე წლის შემდეგ (1884 წელს) აკაკი წერეთელი აქვეყნებს ისტორიულ პოემას „თორნიკე ერისთავი“. „თორნიკე ერისთავში“ ბუნების განცდის უმაღლესი გამოხატულებაა განთიადის აღწერა ომის წინ. აქ პოეტის შემოქმედებითი ოსტატობა განსაკუთრებით იმაში იჩენს თავს, რომ იგი შესანიშნავ მეტაფორებში, ადამიანის მღელვარე განცდებთან ბუნების მოვლენათა პოეტურ პარალელებში გადმოგვცემს

განთიადის სურათს. „ქართულ პოეზიაში ცოტა შეხვდებოდათ ასეთი ღრმა გრძნობით, ასე ფერადოვნად, მკაფიო, მეტყველი ტონებით შესრულებული ჩანახატი გარიჟრაჟისა... პოეტი ბუნების გაღვიძების დიადი სანახაობის გადმოსაცემად ადამიანურ მშვენიერებას იშველიებს. აქ მხატვრობის კრიტერიუმია ადამიანის სილამაზე, როგორც უმაღლესი მშვენიერება სამყაროში“. (გ. აბზიანიძე და სხვ., ტ. IV, 1974:158) - წერს მკვლევარი გიორგი აბზიანიძე და, თითქოს აღარაფერია სხვა სათქმელი ამ შეფასებების შემდგომ. თუმცა ჩვენ კვლევებთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე მსგავსება გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ბოლო ეპიზოდთან, კერძოდ განთიადის დადგომის აღწერასთან ბრძოლის დაწყების წინ, მდინარე ჰალისის პირად, სადაც მოლაღატე ბარდა სკლიაროსის პირისპირ ბიზანტიის ჯართან ერთად ქართველთა დამხმარე ჯარი დგას თორნიკე ერისთავის სარდლობით. პოემაში აღნიშნულ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. და ასეთ მომენტში განთიადის სურათი თითქოს ზედმეტიც უნდა იყოს. მომენტში განთიადის იგივე ხერხს - აღწეროს დილა ბედისწერის მსახვრალი ხელის წინაშე - ვინ გაიმარჯვებს და ცოცხალი გადარჩება, ვინ დაიღუპება შეტაკებისას. არ ჩანს არც მეომართა განცდა. მხოლოდ თორნიკეზეა აქცენტირება, როგორც მთავარსარდალზე და აი პოეტი მიმართავს ხერხს, აჩვენოს ბუნების სურათი (რომელიც მის ოსტატობასაც წარმოაჩენს), თუმცა არა ჩვეულებრივი აღწერით. შედარებას იყენებს აკაკი, შედარებას განთიადის დადგომისას ბუნების მზადებასთან, ქალის შეყვარებულთან შესახვედრად მზადების აღწერის მეშვეობით. და აკაკის შემოჰყავს ქალის ზოგადი სახე (ეთერის მეშვეობით), რომელიც თავისი პოეტური ფუნქციის გარდა მკითხველს ერთგვარად ამშვიდებს თითქოს მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე.

ქალი, როგორც ასეთი, პოემაში საერთოდ არ გვხვდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბიზანტიის დედოფალს თეოფანიას). ალბათ, არცაა საჭირო, რადგან პოემა ეძღვნება ქართველთა დიდ პატრიოტულსაქმესXსაუკუნეში, სადაც ყველაფერი ფერმკრთალდება თორნიკეს პიროვნების გარდა. თუ აკაკი აღწერდა ჩვეულებრივ განთიადის დადგომას რეალისტური მანერით, პირდაპირ, ეს გრიგოლ ორბელიანთან მიახლოებაც იქნებოდა. ამიტომ აკაკიმ მკითხველს აჩვენა, როგორ ჰგავს შეყვარებულის მომლოდინე მზეთუნახავი ქალის სახით მზადებას, სინათლის, სიცოცხლის დაბადების წინაშე. ეთერიც შემთხვევით არაა შერჩეული. ესაა ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ღმერთის სახელი, ამავდროულად, დასავლეთის თბილი ქარისა. ეთერი იკაზმება შეყვარებულთან შესახვედრად. თავისით ხდება თვალების აელვარება გრძნობით და მღელვარებისაგან ლოყების აფერადება. ასე ელოდება ცისკრის ვარსკვლავი ახალი დღის დადგომას:

III

„ვითა ეთერი მზეთუნახავი,
 საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
 სახეს ვარდისფრად იღებავს გრძნობით
 და იელვარებს სურვილით თვალებს,
 ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
 ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
 და ფერმიხდილი, ნათელ-ძლიერი
 მზისა ამოსვლას ეშხით შესტრფოდა,
 თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლული,
 გამსჭვალულიყო მისის თანგრძნობით
 და უგალობდა „ციურ ნანინას“
 საიდუმლო და უცნაურ გზობით,
 სუნელთა მფენი დილის ნიავი,
 ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი,
 ბანსა აძლევდნენ ღვთიურ ნანინას
 და ათანხმებდა მათ ძალთაძალი.
 ციური ნიჭის მისაღებელად,
 ვარდმა კოკორმა თავი ახარა;
 ცრემლად დაეცა გულზე მანანა,
 აელვარა და გაახარა!...
 თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:
 თავისებურად იწყო მან სტვენა,
 თითქოს უნდოდა მით მოეტანა
 ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა ზენა“
 (წერეთელი, ტ. V, 1956:62-63)

აქ ყველანაირი ძალზე ახლოსაა გრიგოლ ორბენიალისეულ აღწერასთან: „მოჰქრის დილისა ნიავი“ – „სურნელთ მფენი დილის ნიავი“, „ბაღში ფოთოლთ შრიალი“ – „ფოთოლთ შრიალი“; „ჰგალობს ბულბული“ – „თურმე ბულბულიც ამას უცდიდა“ და სხვ. ღვთის ძალა და ხმა (ციური ნანინა) აკაკისთანაც კურთხევას აძლევს ამ ცოდვილ ქვეყანას. და მიუხედავად ამისა, ორივე ნაწყვეტი განთიადის დადგომისა ორივე პოეტთან (გრიგოლ ორბელიანსა და აკაკი წერეთელთან) გენიალურია, ოსტატობის ნიმუში, მაგრამ მხატვრული ხერხის (შედარების) მეშვეობით მკითხველისათვის მისაწვდომი, გასაგები, რაც არც ფონია, არც ფანტაზიით შექმნილი, წარმოსახული. ეს მხატვრული ოსტატობაა რომანტიკოსი და რეალისტი პოეტისა, რომლებმაც სრულყოფილების უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს სწორედ განთიადის სურათის აღწერითაც.

დასკვნა: ზემოთმოყვანილმა შედარებებმა, რომლებიც ჩატარდა სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა ერთმანეთით შთაგონებულ თუ გავლენით შექმნილ



ნაწარმოებებს შორის ცხადყო, რომ თუ პრერომანტიკოსთან შეინიშნება ბუნების სურათის მხოლოდ ფონად გამოყენება, რომანტიკოსთან წარმოსახვითი თუ ქეშმარიტად რეალისტური ასახვა რეალისტ მწერალთან კი შედარების მეშვეობით მკითხველისათვის სხვა მხატვრული ხერხით ჩვენებით, რამაც მხატვრული ტექსტის ავტორთა უმაღლესი განსახოვნება ჰპოვა.

დამონეგანი

ა. წერეთელი, 1956: წერეთელი აკაკი, თხზ. სრ. კრებ. თხუთმეტ ტომად, ტ. V, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი

ქართული ლიტერატურის ისტორია, IV, 1974: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, შ. რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტ. გამომც., „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;

გრ. ორბელიანი, 1959. ორბელიანი გრიგოლ, თხზულებათა სრული კრებული, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი,

ინტერნეტრესურსები: Thomas Grey URL org/poets/44292/the-bard-a.pindaric-de

(<http://libray.ru/text/1376/p.h/index/html>

Жуковский. Певец востани русских войнов URL